

საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში - 2017 წელი  
(ჩემპიონატის რეგლამენტი)

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ  
2017 წელი



1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი
5. სარბოლო მონაკვეთი (ტრასები)
6. უსაფრთხოების ზომების დაცვა
7. ოფიციალური პირები
8. მოთხოვნები მონაწილეების, მრბოლელების და გუნდების მიმართ
9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები
10. შეჯიბრებების ჩატარების პირობები, კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა
11. ღონისძიების ჩატარების პირობები
12. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამირება
13. დაჯილდოება
14. პროტესტი, აპელაცია
15. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია

**მუხლი 1. შესავალი**

- 1.1. ნამდვილი რეგლამენტი (შემდგომში სსსფ-ს რეგლამენტი) შედგენილია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ და განსაზღვრავს საქართველოს 2017 წლის ოფიციალური შეჯიბრებების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს დრიფტის დისციპლინაში.
- 1.2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:
  - სსსფ-ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
  - ჩემპიონატის წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ-ს საერთო დებულებები);
  - დრიფტის ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
  - სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია (ტექნიკური რეგლამენტი);
  - მოქმედი რეგლამენტი (სსსფ-ს რეგლამენტი);
  - ღონისძიების რეგლამენტი (შეჯიბრის დებულება).
- 1.3. საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში ტარდება სსსფ-ს სატრეკო რბოლის სახეობათა კომისიის გადაწყვეტილებების და სსსფ-ს მიერ 2017 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის თანახმად.
- 1.4. მოცემული სსსფ-ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან და ანაცვლებს ამ დრომდე მოქმედ ყველა რეგლამენტს.

**მუხლი 2. ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები**

- 2.1. ოფიციალური შეჯიბრებები დრიფტში, ტარდება საუკეთესო სპორტსმენისა და საუკეთესო გუნდის გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

**მუხლი 3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები**

- 3.1. 2017 წლის საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების უფლება დრიფტში ეკისრება შ.პ.ს. „ბმვ კლუბ საქართველო“.
- 3.2. სსსფ-ს სტრუქტურაში დრიფტში საქართველოს ჩემპიონატის შეჯიბრებების ჩატარებისას ორგანიზების პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ-ს სატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.
- 3.3. სსსფ-ს სტრუქტურაში დრიფტში საქართველოს ჩემპიონატის შეჯიბრებების ტექნიკურ რეგულაციებზე პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ-ს ტექნიკურ კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.
- 3.4. ერთიანი ტექნიკური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სპორტული ღონისძიებების კალენდრის შესათანხმებლად (სასწავლო-სავარჯიშო, სასწავლო-მეთოდური, ტექნიკური თუ გამაჯანსაღებელი შეკრებებისა და შეჯიბრებების), სსსფ-ს სატრეკო რბოლის სახეობათა კომისია, სპორტსმენებისა და გუნდების სახელით, რომლებიც მონაწილეობას ებუღებენ სხვადასხვა ჩათვლით ჯგუფებში, ასევე შეჯიბრის ჩატარების ორგანიზების საფინანსო-სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტად, სსსფ-ს უფლება აქვს დადოს ხელშეკრულება მესამე პირებთან, რომელთა უფლებები და მოვალეობები ფიქსირდება მოცემული ხელშეკრულებებით.

**მუხლი 4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი**

- 4.1. შეჯიბრებების სტრუქტურა  
 მონაწილე ავტომობილი უნდა წარმოადგენდეს მწარმოებლის მიერ სერიულად წარმოებულ მოდელს და გააჩნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი.
- 4.2. რბოლისთვის დამზებული ავტომობილების კლასები, ჯგუფები და კატეგორიები:
  - ავტომობილები იყოფიან სამოყვარულო და PRO კლასებად
- 4.3. დრიფტში საქართველოს ჩემპიონატის 2017 წლის კალენდარი

2017 წლის საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი აღმართის დაძლევაში	
ღონისძიება	თარიღი
I ეტაპი	23 აპრილი
II ეტაპი	25 ივნისი
III ეტაპი	15 ნოემბერი

- 4.4. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება ღონისძიებების ბაზაზე, რომელიც ჩართულია სსსფ-ს სპორტული ღონისძიებათა ჩატარების კალენდარულ გეგმაში შესაბამისი სტატუსით. შეთანხმებული კალენდარი მიეწოდება სსსფ-ს, შეჯიბრების სერიის პრომოუტერის ან

ორგანიზატორის მიერ. პრომოუტერის არ ყოფნის შემთხვევაში ორგანიზატორის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სსსფ-ს წინაშე ღონისძიების ჩატარებაზე.

4.5. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - [www.gasf.co](http://www.gasf.co) დანაყოფში „კალენდარი“.

## მუხლი 5. სარბოლო მონაკვეთი (ტრასა)

5.1. შეჯიბრებების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ-ს მოთხოვნებს.

5.2. შეჯიბრების მზადებისას სსსფ-ს სატრეკო კომისიის მიერ ხდება რბოლის ტერიტორიის შესწავლა, უსაფრთხოების ნოემების შემუშავება, კავშირგაბმულობის კვანძების დამუშავება და ყოველივე ამაზე დაყრდნობით დგება ტრასის პასპორტი რომელსაც ამტკიცებს სსსფ-ს სატრეკო კომისია.

## მუხლი 6. უსაფრთხოების ზომების დაცვა

6.1. შეჯიბრების დაწყების წინ, რბოლების ხელმძღვანელი უსაფრთხოების კომისართან ერთად ამოწმებს ტრასის მზადყოფნას და მის შესაბამისობას ტრასის პასპორტთან.

6.2. რბოლის დაწყებამდე უსაფრთხოების და ტრასის კომისარი ამზადებს სარბოლო მონაკვეთს (ტრასას) და რბოლის დასრულებამდე პასუხისმგებელი არიან რბოლის უსაფრთხოებაზე.

6.3. შეჯიბრების ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას იღებს შეჯიბრის ორგანიზატორი, შეჯიბრის ხელმძღვანელი და უსაფრთხოების კომისარი, რომლებიც ვალდებული არიან შეაჩერონ რბოლა თუ არსებობს მაყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.

## მუხლი 7. ოფიციალური პირები

7.1. ჩემპიონატის ეტაპებზე სსსფ-ს სატრეკო რბოლების სახეობათა კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირებს:

- შეჯიბრების მთავარ კომისარს – სპორტულ კომისარს სსსფ-ს უფლებებით;
- შეჯიბრების მთავარ ტექნიკურ კომისარს და ტექნიკური კომისიის დელეგატებს;
- სსსფ-ს დამკვირვებელს.

7.2. მთავარი ტექნიკური კომისარი, რომელიც დანიშნულია სსსფ-ს მიერ, ხელმძღვანელობს ტექნიკური ინსპექციის მუშაობას, აკონტროლებს ტექნიკურ დელეგატებს, სარემონტო, გასამართი და დახურული პარკის ტექნიკურ კონტროლიორებს.

7.3. ჩემპიონატის ეტაპებზე, სსსფ-ს არასატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- რბოლების ხელმძღვანელი;
- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი;
- ჩემპიონატის მდივანი;

## მუხლი 8. მოთხოვნები მონაწილეების, მრბოლელების და გუნდების მიმართ

8.1. შეჯიბრში მონაწილე მრბოლელები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- სამოყვარულო კლასში მოასპარეზე მრბოლელი უნდა ფლობდეს: ავტომობილისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ან სხვა ქვეყნის ანალოგიური ორგანოს მიერ გაცემულ ტექნიკურ პასპორტს; ან სსსფ-ს ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ფედერაციის მიერ გაცემულ ავტომობილის ტექნიკურ პასპორტს.
- მართვის მოწმობას, ან საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ გაცემულ სარბოლო ლიცენზიას;

- 8.2.** მრბოლელები დაიშვებიან მხოლოდ იმ ავტომობილებით, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში როგორც სპორტული ავტომობილი და გააჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ავტომობილის პასპორტი).
- საბუთები გაცემული უნდა იყოს სსსფ-ს ან სსფ-ს წევრი სხვა ქვეყნის ეროვნული სტატუსის მქონე ფედერაციის მიერ და ძალაში უნდა იყოს ჩემპიონატის გამართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.
  - მრბოლელის წლიური შედეგი შედგება ყველა ეტაპში მოპოვებული ქულათა ჯამისგან.
- დაჟინებით რეკომენდირებულია** კისრის დამცავი საშუალების გამოყენება (HANS). პერსონალის ეკვიპირების რეკომენდაციები მოცემულია წესებში.

## **მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები**

- 9.1.** PRO კლასში მონაწილე ყველა ავტომობილს უნდა გააჩნდეს სსსფ-ს მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი.<sup>1</sup>
- 9.2.** სამოყვარულო კლასში მონაწილე ყველა ავტომობილს უნდა გააჩნდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი.
- 9.3.** ტექნიკური ინსპექცია წარმოებს „დრიფტის ტექნიკური მოთხოვნების“ მიხედვით.
- 9.4.** თითოეულ კლასში წარმოდგენილი ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.
- 9.5.** ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლიან ტექნიკური კომისრები.
- 9.6.** ჩემპიონატის მსვლელობის დროს შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეამოწმონ ნებისმიერი მონაწილის ავტომობილი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს შეჯიბრების კომისრების მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მრბოლელი ან მისი მონაწილე ვალდებული არიან საკუთარი ძალებით მოახდინონ კომისრების მიერ მოთხოვნილი დეტალების დემონტაჟი. ამ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება წლის განმავლობაში მიღწეული შედეგი და ჩამოერთმევა მრბოლელის ლიცენზია (დისკვალიფიკაცია) ფედერაციის მიერ განსაზღვრული ვადით, ასევე უუქმდება გუნდურ ჩათვლაში მიღწეული შედეგი (არსებულის შემთხვევაში) არსებული მომენტისთვის.
- 9.7.** კონკრეტული კლასისთვის შესაძლებელია იყოს დამატებითი რეგულაცია საბურავთან დაკავშირებით, რომელიც გამოიცემა უშუალოდ ორგანიზატორის მიერ.

## **მუხლი 10. ჩემპიონატის ჩატარების პირობები. კლასიფიკაცია. შედეგების განსაზღვრა**

- 10.1.** ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება პირად და გუნდურ ჩათვლებში, 4.2. პუნქტში განსაზღვრული კლასების შესაბამისად.
- 10.2.** გუნდური ჩათვლა იანგარიშება მხოლოდ თითოეულ ჯგუფში.
- 10.3.** ოფიციალური შეჯიბრი ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრის მინიმუმ 70%.
- 10.4.** ჩემპიონატში გამარჯვებული ვლინდება ჩემპიონატის ეტაპებზე დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით;
- 10.5.** თუ ორ ან მეტ მრბოლელს, ჩემპიონატის ჩათვლაში, იდენტური ქულები დაურგოვდათ, ადგილები მათ შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:

<sup>1</sup> ძალაში შედის 2018 წლის იანვრიდან

- a) ჯგუფურ კლასიფიკაციაში დაკავებული ადგილების ხარისხის მიხედვით:
- მეტი პირველი ადგილი;
  - მეტი მეორე ადგილი;
  - მეტი მესამე ადგილი;

დაკავებული იმ ეტაპებზე, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო ჯამი შეადგინა;

- b) ჯგუფურ კლასიფიკაციაში დამარცხებული მეტოქეების რაოდენობის მიხედვით, იმ ტურნირებში, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო მარაგი შეადგინა.
- c) თუ ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგაც ვერ დადგინდა საუკეთესოთა ვინაობა, სსსფ ერთპიროვნულად დაასახელებს მათ, იმ ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებსაც თავად ჩათვლის მისაღებად.

**10.6.** რბოლის დროს დაკავებული ადგილის მიხედვით ქულა ენიჭება მხოლოდ მრბოლელს.

**10.7.** ჩემპიონის გამოსავლენად, თითოეული ეტაპის გამარჯვებულს ჩათვლით ჯგუფში ერიცხებათ ქულები ოფიციალური შეჯიბრების შედეგების სასარგებლოდ, მათ მიერ რბოლის პროტოკოლით მოცემული დაკავებული ადგილების შესაბამისად:

რბოლა		კვალიფიკაცია	
პოზიცია	ქულა	პოზიცია	ქულა
1	100	1	10
2	80	2	7
3	64	3	6
4	54	4	54
ტოპ 8	48	ტოპ 8	4.5
ტოპ 16	32	ტოპ 16	3

**10.8.** გუნდური ჩათვლისას ქულების დარიცხვა, წარმოებს მრბოლელების მიერ დაგროვილი ქულების ჯამური შედეგით;

**10.9.** მიმდინარე მდგომარეობის და საბოლოო შედეგების დათვლის პროცესს აწარმოებს სსსფ და აქვეყნებს სსსფ-ს ვებ გვერდზე [www.gasf.co](http://www.gasf.co) აღმართის დამლევების ნაწილში.

## მუხლი 11. ღონისძიების ჩატარების პირობები

### 11.1. კვალიფიკაცია

- ქულების მინიჭება ხდება მხოლოდ ფინიშის გადაკვეთისას.
- გარბენს აფასებს 3 ჟიურის წევრი 100 ქულიანი სისტემით სადაც ქულები იწერება შემდეგი კრიტერიუმებით:
  - სიჩქარის სიდიდე – 30 ქულა
  - იდეალური ტრაექტორია – 30 ქულა
  - კუთხის სიდიდე – 30 ქულა
  - სანახაობა / სტილი (აგრესიულობა, კვამლი და სხვა) – 10 ქულა
- კვალიფიკაცია შედგება 2 გარბენისგან საიდანაც საკვალიფიკაციო შედეგად ჩაითვლება მხოლოდ ერთი საუკეთესო.
- მოცემულ სიჩქარეზე მოცურებაში შესვლის

- და გამოსვლის, ასევე გადაწყობის დროს შენარჩუნებული სიჩქარე ფასდება შესაძლო 30 ქულით.
- მონაწილე ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად და შეუფერხებლად იმეორებს მოცემულ ტრეკტორიას, ასევე რამდენად ახლოს გაივლის კლიპინგის წერტილებს. ფასდება შესაძლო 30 ქულით.
- კუთხის მაქსიმალური სიდიდე ტრეკტორიასთან მიმართებაში. კუთხის მრავალჯერადი კორექტირება იწვევს ქულების კლებას. ფასდება შესაძლო 30 ქულით.
- კვალიფიკაციის დროს ერთნაირი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მეორე გარბენის მიხედვით. თუ ეს ქულებიც თანაბარია - ფასდება წინა ეტაპის პოზიციის მიხედვით.
- პირველი ეტაპის შემთხვევაში - ხდება OMT მხოლოდ ერთნაირი ქულების მქონე მრბოლელებში. OMT-ს დროს ფიქსირდება სატურნირო ცხრილის პოზიცია და შეუძლებელია კვალიფიკაციის ახალი შეფასების მიღება.
- ყველა სარბოლო ტრასას აქვს დრიფტში ყოფნის სავალდებულო წერტილი „Clipping Box“ კლიპინგ ბოქსი. სავალდებულო წერტილის შემდეგ დრიფტის დაწყება - ავტომატურად 0 ქულა.
- ყოველ ეტაპზე ჟიურის მიერ მრბოლელებისთვის შეთავაზებული იქნება დრიფტის მინიმალური სიჩქარე. სიჩქარის ათვლა ხდება Clipping Box-ებთან.
- შენელება - არაადეკვატურად შენელება, ანუ დაახლოებით 30-40კმ/სთ და მეტი. აგრეთვე ერთი კუთხიდან მეორე კუთხეზე გადასვლის მომენტში შენელება ანუ გადასვლის მომენტის მოსამზადებლად შენელება დაახლოებით 30-40კმ/სთ. - სიჩქარეში 0 ქულა.
- გასწორებისას თითოეული წამი არის მინუს ქულა, ხოლო ოთხ წამზე მეტი გასწორებული თვლებით გავლა ავტომატურად 0 ქულა)
- სტილი - საბურავებიდან გაშვებული კვამლი, აგრესიული გადასვლა, Full Throttle, ასევე წესებში დასაშვები ნებისმიერი ეფექტური ქმედებები.

## 11.2. წყვილები (PRO კლასი)

- ყველა სარბოლო მონაკვეთს აქვს „Respect Zone“ რესპექტ ზონა სადაც აუცილებელია ავტომობილების ერთდროული სვლა რის შემდეგაც ხდება ბოლომდე აქსელერაცია.
- ყოველი ეტაპისთვის რესპექტ ზონის მაქსიმალურ სიჩქარეს ადგენს ჟიური და განსაზღვრულია წინა ავტომობილისთვის, ხოლო მდევარ ავტომობილს ეკრძალება ამ ზონაში გასწრება.
- OMT (განმეორებით გარბენი) ინიშნება 2 რბოლის ჯამში თანაბარი ქულების შემთხვევაში. ჩემპიონატზე შესაძლებელია 1 OMT-ს დანიშვნა, გარდა 1/2 ფინალისა და ფინალებისა, სადაც შეიძლება 2 OMT-ს დანიშვნა, რის შემდეგაც არის 2 წუთიანი შესვენება, რომლის დროსაც ჟიური განიხილავს OMT-ს ვიდეოებს და ვალდებულია გამოავლინოს გამარჯვებული ან ისევ თანაბარი ქულების შემთხვევაში - შემდეგ ეტაპზე გადადის კვალიფიკაციით მაღალი ქულების მქონე მრბოლელი.
- გასწრება - დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა ავტომობილი აშკარად გადასულია ტრეკტორიიდან და მდევარი სუფთად (კონტაქტის, დაჯახების, გზიდან გადასვლის, გასწორების და სხვა წესების დარღვევის გარეშე) მოახერხებს გასწრებას. სხვა ყველა შემთხვევაში გასწრება არის აკრძალული და მრბოლელი ავტომატურად გარბენში წაგებულად.
- მდევარი მანქანის დატრიალების, ან სხვა შეჩერების მიზეზის მიუხედავად, წინა ავტომობილი ვალდებულია დაამთავროს გარბენი. წინა ავტომობილის დატრიალების, გასწორების, გზიდან გადასვლის შემთხვევაში მდევარი ავტომატურად გარბენის გამარჯვებულად, მაგრამ მისი გარბენი ფასდება შეფერხების მომენტამდე.
- წინა ავტომობილი (წინ დგება კვალიფიკაციით მაღალი ქულების მქონე) ასრულებს კვალიფიკაციის დავალებას.

- მდევარი ავტომობილი ასრულებს კვალიფიკაციის დავალებას და ცდილობს მიყვეს წინა ავტომობილს (და არა გაასწროს) რაც შეიძლება ახლოს და ეფექტურად.

### 11.3. არ ჩათვლა:

- დატრიალება.
- გზიდან 2-ზე მეტი საბურავით გადასვლა. (2 საბურავით გადასვლა ქულების მინუს 50%)
- გაჩერება
- ოთხ წამზე მეტი დროით გასწორებული თვლებით გავლა.
- დაწყების სავალდებულო წერტილის გაცდენის შემდეგ დრიფტის დაწყება.
- მრბოლელი, რომელიც შეგნებულად ან ავტომობილის ცუდი მართვით, ბლოკავს ან/და აგდებს სიჩქარეს, ოპონენტის ხელშეშლის მიზნით – ჩაითვლება წაგებულად.
- უმნიშვნელო კონტაქტი დასაშვებია, მაგრამ თუ კონტაქტის შედეგად, მოხდა ავტომობილის დატრიალება ან ტრაექტორიის დაკარგვა და სარბოლო მონაკვეთიდან გადასვლა, ამასთან ერთად მოხდა ავტომობილის მნიშვნელოვანი დაზიანება, დამნაშავე მრბოლელი დაჯარიმდება ქულების განოლებით კონკრეტულ გარბენში, ხოლო ზემოთაღნიშნულის შეგნებული ქმედება გამოიწვევს მრბოლელის დისკვალიფიკაციას კონკრეტულ თუ შემდეგ ეტაპებზე.

### 11.4. შეფასება:

- მეტი კუთხის სიდიდეს ენიჭება პრივილეგია.
- უკანა ავტომობილს ახლოს გაყოლისას ენიჭება პრივილეგია.
- თუ კი წინა ავტომობილი ვერ ასრულებს საკვალიფიკაციო დავალებას, ხოლო მდევარი ავტომობილი დადის საკვალიფიკაციო დავალების შესაბამისად, მას ენიჭება პრივილეგია.
- წინა ავტომობილის არასწორი ტრაექტორიით სიარულისას უკანა ავტომობილი იღებს პრივილეგიას შემდეგ შემთხვევებში:
  - თუ დადის ტრაექტორიით (მიუხედავად წინა ავტომობილის მიერ სიჩქარის დაბლოკვისა, რაც გამოწვეულია არასწორი ტრაექტორიით).
  - თუ წინა ავტომობილის შეცდომების მიუხედავად მიყვება ახლოს.
  - უკანა ავტომობილი თუ ჩამორჩა 30 მეტრით (გზის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული დისტანცია) ავტომატურად ჩათვლება წაგება. (იმ პირობის გათვალისწინებით რომ წინა ავტომობილი იდეალურად ასრულებს საკვალიფიკაციო დავალებას).
  - წინა ავტომობილის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეზე გადასვლის მომენტში შენელება, ანუ გადასვლის მომენტის მოსამზადებლად შენელება დაახლოებით 30-40 კმ/სთ - პრივილეგია ენიჭება უკანა ავტომობილს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია მდევარი ავტომობილის შეფერხება (დატრიალება, გასწორება ა.შ.) კონკრეტულ გარბენში გამარჯვება ენიჭება მდევარ ავტომობილს.

### 11.5. სანახაობა:

- ავტომობილი რომელიც (საბურავებიდან) უშვებს მეტ კვამლს - ენიჭება პრივილეგია.
- პრივილეგია ენიჭება მდევარს უმნიშვნელო კონტაქტისთვის, რომელიც არ გამოიწვევს წინა ავტომობილის კონტროლის დაკარგვას. იმ შემთხვევაში თუ მდევარის გამო წინა მრბოლელი დაკარგავს მართვას, მდევარი ავტომატურად აგებს იმ კონკრეტულ გარბენს (დაზიანების შემთხვევაში წინა ავტომობილს ეძლევა 20 წუთამდე დრო გაუმართაობის აღმოსაფხვრელად. თუ გაუმართაობა ვერ

აღმოიფხვრა მდევარი მრბოლელი ითვლება დამარცხებულად, ხოლო გამარჯვებული მრბოლელი გადადის შემდეგ ტურში, მაგრამ აღარ აგრძელებს რბოლას (მიენიჭება იმ ტურის შესაბამისი ქულები, რომელშიც მოახერხა გადასვლა).

## 12. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამირება

**11.1.** მრბოლელებისთვის სასტარტო ნომრების მინიჭება ხდება რეგლამენტის შესაბამისად. თუ არ არის სხვაგვარი შეთანხმება, ნომრები „1“, „2“ და „3“ შესაძლებელია მიენიჭოთ მხოლოდ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს აღმართის დაძლევაში, წინა სეზონის შესაბამისი აბსოლუტური ჩათვლის მიხედვით.

**11.2.** სარბოლო ავტომობილზე აუცილებელ წარწერებად გვევლინება შემდეგი:

- ემბლემები და წარწერები, რომლებიც დამაგრებული უნდა იქნენ ავტომობილზე რეგლამენტის შესაბამისად.
- სარბოლო ავტომობილზე მონაწილის სასტარტო (საბორტო) ნომერი, განთავსებული ჰორიზონტალურად, ორივე წინა კარების ზედა ნაწილში, შუშის ქვედა ნაწილიდან 7–10 სანტიმეტრის დაშორებით და უნდა იყოს შემდეგი ფორმისა და ზომის: სიგრძე – 67 სმ, სიგანე 17 სმ, 1 სმ–იანი თეთრი ზოლის ჩათვლით. მისი წინა ნაწილი – კვადრატის ფორმის, ზომით 15x15 სმ, რომელზეც დატანილი იქნება სასტარტო ნომერი. ციფრები – ნათელი ყვითელი ფერის, ციფრის სიმაღლე – 14 სმ, ციფრების ხაზის სიგანე – 2 სმ, ციფრები დატანილი უნდა იყოს შავ, არაამრეკლ ფონზე. თუ სასტარტო ნომერი შედგება სამი ციფრისგან, მაშინ კვადრატის სიგანე შესაძლებელია შეიცვალოს. სანომრე პანელის ირგვლივ სივრცე 10 სანტიმეტრის დაშორებით, უნდა იყოს თავისუფალი. უკანა საქარე მინაზე უნდა იყოს დატანილი იგივე ფერისა და ზომის ციფრები (სასტარტო ნომერი).
- სარბოლო ავტომობილის კაპოტზე, სასტარტო ნომერი დატანილი უნდა იქნას შემდეგნაირად: მართკუთხედი სიგრძით 43 სმ და სიმაღლით 21.5 სმ. ის უნდა შეიცავდეს მხოლოდ სასტარტო ნომერს.
- მრბოლელის (ან ეკიპაჟის) გვარი (ები) და სახელმწიფო დროშის გამოსახულება უნდა განთავსდნენ უკანა გვერდით შუშებზე (ორივე მხარეს). ასოების ზომებია, სიმაღლე – 60 მმ, ასოს ხაზის სიგანე 10 მმ. წარწერის შრიფტი – Helvetica.

**11.3.** სავალდებულო წარწერები ავტომობილზე უნდა იყოს განთავსებული ტექნიკურ შემოწმებამდე და შენარჩუნებულ შეჯიბრების დამთავრებამდე. სავალდებულო წარწერების შემოწმება შეიძლება ჩატარდეს, სტარტის წინა ზონაში. სავალდებულო წარწერების არ ქონის შემთხვევაში, ავტომობილი შეჯიბრებაზე არ დაიშვება. თუ შეჯიბრების განმავლობაში გაირკვა, რომ ავტომობილს აკლია თუნდაც ერთი სავალდებულო წარწერა, მრბოლელი შეიძლება დაჯარიმდეს რეგლამენტის შესაბამისად.

**11.4.** მონაწილეებს აქვთ უფლება განათავსონ თავიანთ სარბოლო ავტომობილებზე ნებისმიერი სახის რეკლამა, თუ ის:

- არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
- არ ფარავს ხედს მძღოლის ადგილიდან.
- არ ეწინააღმდეგება მორალისა და ეთიკის ნორმებს.
- მისი შინაარსით არ არის პოლიტიკური ან რელიგიური.
- არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის.
- არ იკავებს სავალდებულო წარწერებისა და სასტარტო ნომრის ადგილებს.
- არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების რეგლამენტს.

**11.5.** მონაწილის მიერ ნებისმიერი სარეკლამო კამპანია, სარეკლამო ვაჭრობის ან პრომო აქციის წარმოება სარბოლო მონაკვეთზე და პარკირების ზონებში, ხორციელდება შეჯიბრების ორგანიზატორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.



**11.6.** სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების დამატებითი პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის რეგლამენტით.

## **12. მუხლი. დაჯილდოება**

**12.1.** სეზონის ბოლო რბოლის შემდეგ გამარჯვებული ვლინდება 10.6 პუნქტის შესაბამის განაკვეთებში.

**12.2.** საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული და პრიზიორები ვლინდებიან მხოლოდ PRO კლასში მოასპარეზე მრბოლელებს შორის.

**12.3.** ჯგუფი წლიურ ჩათვლას იღებს იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში აღნიშნულ ჯგუფში ჩატარდა რბოლების მინიმუმ 70%.

**12.4.** მრბოლელები, რომლებმაც PRO კლასში სეზონის ჩათვლაში დაიკავეს პირველი 3 (სამი) საპრიზო ადგილი დასახელებულ იქნებიან:

PRO კლასი:

- 1 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატში დრიფტში;
- 2 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატში დრიფტში;
- 3 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატში დრიფტში;

**12.5.** მოყვარულთა კლასი დაჯილდოვდება ორგანიზატორის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული სტატუსით

- 1 ადგილი - პირველი ადგილის მფლობელი მოყვარულთა კლასში;
- 2 ადგილი - მეორე ადგილის მფლობელი მოყვარულთა კლასში;
- 3 ადგილი - მესამე ადგილის მფლობელი მოყვარულთა კლასში;

**12.6.** ორგანიზატორის მიერ დაწესებული პრიზი (მედალი, თასი, დიპლომი, ფულადი პრიზი, პრიზი და ა.შ.) გადაეცემა მხოლოდ პილოტს, ეკიპაჟის სხვა წევრის (შტურმანის, კოპილოტის, ნავიგატორის და ა.შ.) არსებობის მიუხედავად.

## **13. პროტესტი, აპელაცია**

**13.1.** კატეგორიულად აკრძალულია მრბოლელის ურთიერთობა ჟიურისთან, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჟიური თავად იძახებს რაციით მთავარი მსაჯის თუ მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცრის მეშვეობით. ნებისმიერი (ზრდილობიანი) მითითებისთვის თუ შენიშვნისთვის მრბოლელს ან მონაწილეს შეუძლია ინფორმაციის მიწოდება მთავარი მსაჯის ან მრბოლელებთან ურთიერთობის ოფიცრის მეშვეობით.

**13.2.** პროტესტის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მონაწილეს, თუ მონაწილე არ ეთანხმება ერთდროულად რამოდენიმე მონაწილის მოქმედებას, შეჯიბრის კომისრების მოქმედებას და ა.შ. მაშინ ინციდენტის ან სიტუაციის განსახილველად მას შეაქვს წერილობითი სახის პროტესტი ფედერაციის სამდივნოში.

**13.3.** ყოველი პროტესტი უნდა შეტანილ იქნას წერილობითი ფორმით, თანდართული ყველა, ვიდეო აუდიო თუ მის ხელთ არსებული არგუმენტებით, (თუ კი ასეთი არსებობს) რომელსაც უშვებს ეს რეგლამენტი (დებულება) და თანხლებულ იქნას ფულადი შენატანით ორგანიზატორის სახელზე, რომლის სიდიდე განისაზღვრება ყოველწლიურად, შეჯიბრის სახეობის მიხედვით. ეს ფულადი შენატანი უბრუნდება პროტესტის განმცხადებელს მხოლოდ მისი პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

**13.4.** თუ შეჯიბრის ხელმძღვანელის და სპორტული კომისრების, შემდგომ კი ორგანიზატორის მხრიდან ვერ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, მაშინ პროტესტს განიხილავს სსსფ-ს მსაჯთა

კოლეგია და გადაწყვეტილებას ამცნობს დაინტერესებულ მხარეებს. დასაშვებია პროტესტის დახურული განხილვაც.

**13.5.** დაუშვებელია პროტესტები სტარტ-ფინიშის და ფაქტის მსაჯების მიმართ, მათი სამსახურეობრივი მოვალეობის დროს გამოტანილი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

**13.6.** თუ მონაწილე არ ეთანხმება პროტესტის შედეგებს, უფლება აქვს პროტესტის შედეგები გაასაჩივროს „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსი“-ს XIII თავის მიხედვით.

**13.7.** ყოველივე ზემო თქმულისგან გამომდინარე, პროტესტის ასევე აპელაციის შემთხვევები, რასაც ვერ მოიცავს აღნიშნული დებულება, რეგულირდება. „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსი“-ს XII და XIII თავების მიხედვით.

#### **14. მუხლი. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია.**

**14.1.** მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და მათი წარმომადგენლების ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე აკრედიტირება ხორციელდება სსსფ-ს მიერ ან აღნიშნულს ავალებს ღონისძიების ორგანიზატორებს.

**14.2.** შეჯიბრებების ოფიციალური ინფორმაცია წარედგინება მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს.